სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს
ბატონ *არისი ბოჭოიძეს*

ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა „ახალი პლატოს”,
მდებარე ქ. თბილისში, ნუცუბიძის მე-III მიკრო-რაიონში, მე-III კვარტალში, I კორპუსსა და ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარედ (ამჟამად, მუხრან მაჭავარიანის ქუჩის დასაწყისში

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ნუცუბიძის მე-III მიკრო-რაიონში, მე-III კვარტალში, I კორპუსსა და ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარედ რამდენიმე წელია აშენდა და ექსპლოატაციაში შევიდა ახალი კორპუსი (ამჟამად, მუხრან მაჭავარიანის ქუჩის დასაწყისში).

აღნიშნულ კორპუსში დღეისათვის ცხოვრობს და ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა **„ახალ პლატოში”** გაწევრიანებული არის 14 (თოთხმეტი) ოჯახი.

ამხანაგობის წევრები მხოლოდ თქვენი დახმარებით თუ შევძლებთ იმ პრობლემის მოგვარებას, რომელიც ჩვენი და ჩვენი შვილების სრულფასოვანი თანაარსებობისათვის არის აუცილებელი.

კერძოდ, მოგახსენებთ, რომ აღნიშნულ კორპუსს, პროექტის თანახმად, აქვს ღია სადარბაზო, რაც ნუცუბიძის პლატოზე, ჩრდილოეთის მხარეს იწვევს თოვლისა და წვიმის სადარბაზოში შემოსვლას და უფრო მეტიც, ძლერი წვიმის დროს წყლის საცხოვრებელ ბინებში შეღწევას.

ამხანაგობის წევრებმა ჩვენი შემოსავლების ხარჯზე გადავწყვიტეთ შევმინოთ სადარბაზო, რისთვისაც წარმოგიდგენთ კანონით დადგენილი წესით მომზადებულ დოკუმენტაციას, რის საფუძველზეც გთხოვთ, გასცეთ ნებართვა.

ამასთან, ამხანაგობა „ახალი პლატოს” თითოეული წევრი ვალდებულებას იღებს საკუთარი ხარჯით შემინოს თავისი საცხოვრებელი ბინის სადარბაზოს შესაბამისი ფართი, ხოლო საერთო ფართი – საერთო ხარჯით.

დამატებით გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩვენი მწირი შემოსავლები და ნება დაგვრთოთ შემინვა ვაწარმოოთ შედარებით ხელმისაწვდომი „მეტალოპლასმასის” გამოყენებით.

იმედია გულთან ახლოს მიიტანთ ჩვენს თხოვნას და დაგვეხმარებით პრობლემის მოგვარებაში ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალით.

დანართი: ----- ფ.

პატივისცემით,

ამხანაგობა „ახალი პლატოს" თავმჯდომარე რუსუდან ფარფალია

ამხანაგობა „ახალი პლატოს" წევრები:

1. ქეთი ვაჩაძე
01011018913

2. ნინო დათეშიძე
01003004429

3. მედეა ჯონიშვილი
54001008555

4. თამაზ დოხუანიძე
01008013908

5. მიხეილ კოპაძე.
01024019559

6. იზიანა ბეჭიძე
54001000228

7. ლევან ცუცქირიძე
01013012487

8 დავით ხოხი
01010007351